


## ქსელური ბაზის დუბლი


ორის ბუღალტერიაში შესაძლებელია მონაცემთა ბაზის გაყოფა. მონაცემთა ბაზის გაყოფის შემდეგ ახალ ბაზაში მითითებული თარიღით სისტემა დასვამს სასტარტო ნაშთებს და მიმდინარე მონაცემთა ბაზიდან მითითებული თარიღის შემდეგ შესრულებულ ოპერაციებს გადაიტანს.

თუ SQL სერვერი მდებარეობს სხვა კომპიუტერზე, მაშინ სისტემაში შედით ადმინისტრატორის უფლებებით (იხ. დოკუმენტაცია სისტემის ადმინისტრატორის უფლებით გაშვება )

ბაზის გასაყოფად შედით:**ფაილი/შევქმნათ ახალი მონაცემთა ბაზა/ქსელური ბაზის დუბლი:**




იხილავთ ეკრანს:



ველში “SQL სერვერი ” მიუთითეთ SQL სერვერის დასახელება ,სადაც გაქვთ გასადუბლირებელი (გასაყოფი) ბაზა .

გადანიშნეთ ველი „Windows ავტორიზაცია“, გააქტიურდება ველები: „მომხმარებელი“ და „პაროლი“. ველში „მომხმარებელი “ მითითებულია SQL სერვერის მომხმარებელი.ველში „პაროლი “ მიუთითეთ SQL სერვერის პაროლი (სტანდარტული პაროლი რაც მოყვება სისტემას oris@1992@oris).

ველში „მონაცემთა ბაზის სახელი (ლათინურად)“ მიუთითეთ მონაცემთა ბაზის სახელი,რომლის დუბლირებაც (გაყოფაც ) გსურთ. ველის გასწვრივ დაანკაპეთ მუსი  დილაკზე . ჩამოიშლება მონაცემთა ბაზების სია ,აირჩიეთ გასადუბლირებელი (გასაყოფი)ბაზა.

ეკრანში „ახალი მონაცემთა ბაზა“ ველში “SQL სერვერი ” მიუთითეთ SQL სერვერის დასახელება ,სადაც უნდა შეიქმნას ახალი მონაცემთა ბაზა .

გადანიშნეთ ველი „Windows ავტორიზაცია“, გააქტიურდება ველები: „მომხმარებელი“ და „პაროლი“. ველში „მომხმარებელი “ მითითებულია SQL სერვერის მომხმარებელი.ველში „პაროლი “ მიუთითეთ SQL სერვერის პაროლი (სტანდარტული პაროლი რაც მოყვება სისტემას oris@1992@oris).

ველში „მონაცემთა ბაზის სახელი (ლათინურად)“ სისტემა ავტომატურად უთითებს დასახელებას,შეგიძლიათ შეცვალოთ .მაგ:“ ORIS2022“ დააჭირეთ ღილაკს „წინ“

მიუთითეთ გასადუბლირებელი (გასაყოფი) მონაცემთა ბაზის მომხმარებელი და თუ პაროლიც აქვს მითითებულ მომხმარებელს პაროლიც მიუთითეთ.

ქსელური ბაზის დუბლი

მონაცემთა ბაზის სახელი: ORIS

ახალი მონაცემთა ბაზის სახელი: ORIS2022

მომხმარებლის სახელი: sa

პაროლი: \*

<< უკან    წინ >>    OK    Close

დააჭირეთ ღილაკს „წინ“.

ქსელური ბაზის დუბლი

მონაცემთა ბაზის სახელი: ORIS

ახალი მონაცემთა ბაზის სახელი: ORIS2022

სასტარტო ბალანსის თარიღი: 31.12.2020


სასტარტო ბალანსის თარიღი უნდა უსწრებდეს პირველ შესრულებულ ოპერაციას. ანუ, თუ აპირებთ ოპერაციების შესრულებას დაწყებული 01.01.2020-იდან მაშინ სასტარტო ბალანსის თარიღი უნდა იყოს 31.12.2019

<< უკან    წინ >>    OK    Close


ველში „სასტარტო ბალანსის თარიღი“ მიუთითეთ სასურველი თარიღი. მიუთითებული თარიღით სისტემა დასვამს სასტარტო ნაშთებს ახალ ბაზაში, ეს თარიღი უნდა უსწრებდეს გატარებების თარიღს. დააჭირეთ ღილაკს „ok“

შეიქმნება ახალი მონაცემთა ბაზა და დაემატება მონაცემთა ბაზების სიას.


**ფაილი\ გავხსნათ არსებული მონაცემთა ბაზა.**







დააჭირეთ ღილაკს , იხილავთ ეკრანს:




დადექით ბარათზე „ქსელური“.



მონაცემთა ბაზის დასამატებლად გამოიყენეთ ღილაკების სისტემიდან ღილაკი  ან კლავიატურაზე Insert ან მონაცემთა არეში დაანკაპეთ მუსის მარჯვენა ღილაკს და კონტექსტური მენიუდან აირჩიეთ ჩანაწერის დამატება.

	ჩანაწერის დამატება	Ins
	კორექტირება	F2
	ჩანაწერის წაშლა	Del

იხილავთ ეკრანს:



დავუკავშირდეთ ქსელში არსებულ მონაცემთა ბაზას

SQL სერვერი: Server\ORIS

მონაცემთა ბაზის სახელი (ლათინურად):

ორგანიზაციის ტიპი: სამეწარმეო

საწყისი მონაცემების ენა: ქართული

სააღრიცხვო ვალუტა: GEL მეორე: USD

Windows ავტორიზაცია

მომხმარებელი: sa

პაროლი: \*

კავშირის შემოწმება

შთავარი | სხვადასხვა


OK Close

ველში “SQL სერვერი ამ კომპიუტერზე ” მიუთითეთ SQL სერვერის დასახელება სადაც არის თქვენი მონაცემთა ბაზები.

გადანიშნეთ ველი „Windows ავტორიზაცია“, გააქტიურდება ველები: „მომხმარებელი“ და „პაროლი“. ველში „მომხმარებელი “ მითითებულია SQL სერვერის მომხმარებელი.ველში „პაროლი “ მიუთითეთ SQL სერვერის პაროლი (სტანდარტული პაროლი რაც მოყვება სისტემას oris@1992@oris).

ველის „მონაცემთა ბაზის სახელი (ლათინურად)“ გასწვრივ დააჭირეთ ჩამოშლად მენიუს,აირჩიეთ სასურველი ბაზა. დააჭირეთ ღილაკს „OK“.მონაცემთა ბაზების ჩამონათვალში დაემატება ბაზა.

ქსელური მონაცემთა ბაზების ჩამონათვალს დაემატება თქვენს მიერ დუბლირებული(გაყოფილი ბაზა).დადექით მონაცემთა ბაზის დასახელებაზე და დააჭირეთ ღილაკს „OK“.



ველში „მომხმარებლის სახელი“ ჩამოშალეთ ჩამოშლად სია და მიუთითეთ მომხმარებლის დასახელება.

ველში „პაროლი“ მიუთითეთ პაროლი, თუ გასაყოფ ბაზას ჰქონდა პაროლი და გაყოფის დროს მიუთითეთ, აქაც აუცილებელია იგივე პაროლის მითითება. მონაცემთა ბაზაში შესვლის შემდეგ შეგიძლიათ შეცვალოთ ძველი პაროლი ახლით.